თავი 6 პოლიტიკის, იურიდიული და ადმინისტრაციული ჩარჩო

სარჩევი

6 პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო 6-1
6.1 შესავალი 6-1
6.2 ეროვნული კანონმდებლობა 6-1
6.2.1 კონსტიტუცია 6-1
6.2.2 SCPX პროექტისათვის გამოსაყენებელი საკანონმდებლო ჩარჩო 6-2
6.2.3 მთავრობათაშორისი ხელშეკრულება 6-2
6.2.4 ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულება 6-2
6.3 საერთაშორისო სტანდარტები და სახელმძღვანელოები 6-5
6.4 საერთაშორისო და რეგიონული კონვენციები 6-6
6.5 ეროვნული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო 6-6
6.5.1 ეროვნული კანონმდებლობა და სანებართვო მოთხოვნები 6-7
6.5.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასება 6-7
6.5.3 სანებართვო მოთხოვნები 6-8
6.6 პროექტის გარემოს დაცვის სტანდარტები 6-14
6.7 BP კორპორატიული პოლიტიკა 6-14

ცხრილები

ცხრილი 6-1: ნებართვების რეესტრი 6-9

6 პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო

6.1 შესავალი

წინამდებარე თავში მოცემულია სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (მილსადენის) პროექტის ნორმატიული ჩარჩოს ძირითადი ელემენტების ზოგადი აღწერა, რომელიც ასევე ეხება განახლებულ საინჟინრო პროექტს. მილსადენის პროექტისათვის გამოსაყენებელი საკანონმდებლო რეჟიმი გამოირჩევა თავისი სირთულით, ამიტომ წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილებულია შემოთავაზებული პროექტის ძირითად მარეგულირებელ კონტექსტზე; აქ არ არის დაწვრილებით გაანალიზებული SCPX პროექტისთვის გამოსაყენებელი ნორმატიული ჩარჩოს ყველა მოთხოვნა და იგი არ წარმოადგენს მოცემული დებულებების კონკრეტულ ანალიზს.

წინამდებარე თავში მოცემულია შემდეგი:

- ეროვნული კანონმდებლობა (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება ბუნებრივი აირის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანის ფარგლებს გარეთ სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით (მთავრობათაშორისი ხელშეკრულება, IGA) და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულება - საქართველოს მთავრობასა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის მონაწილეებს შორის (ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულება, HGA)
- შერჩეული საერთაშორისო და რეგიონული კონვენციები
- შერჩეული საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკა და სახელმძღვანელოები, მათ შორის – საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის პოლიტიკა
- BP კორპორატიული პოლიტიკა.

ინფორმაციის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, მითითება გაკეთებულია ინფორმაციაზე, რომელიც მოცემულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მე-6 თავში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ქვემოთ განხილული ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან და სხვა კანონებისა და დოკუმენტების აღწერა წარმოადგენს ძირითადი დებულებების შეჯამებას და შეიცავს მხოლოდ მითითებებს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების სრულ ტექსტზე.

6.2 ეროვნული კანონმდებლობა

6.2.1 კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციას (1995, ბოლო ცვლილება შევიდა 2010 წ. 15 დეკემბერს) აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების მიმართ. მასში განსაზღვრულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები იცხოვროს ჯანსაღ გარემოში (მუხლი 37, ნაწილი 3). კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სახელმწიფო დაიცავს გარემოს და უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას (მუხლი

37, ნაწილი 4). კონსტიტუცია ასევე წარმოადგენს იურიდიულ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს გარემოზე ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას (მუხლი 37, ნაწილი 5, მუხლი 41, ნაწილი 1).

6.2.2 SCPX პროექტისათვის გამოსაყენებელი საკანონმდებლო ჩარჩო

მილსადენის გაფართოების პროექტი ხორციელდება მთავრობათაშორისი ხელშეკრულებისა და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების ჩარჩოს ფარგლებში. მთავრობათაშორისი ხელშეკრულება წარმოადგენს სავალდებულო საერთაშორისო კანონმდებლობის ნაწილს ხელშკრულების ხელმომწერ სახელმწიფოთა შორის, ხოლო ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულება – შიდა ნორმატიულ აქტს, რომელიც არეგულირებს პროექტთან დაკავშირებულ საკითხებს.

6.2.3 მთავრობათაშორისი ხელშეკრულება

მთავრობათაშორისი ხელშეკრულების მუხლი IV ადგენს, რომ:

> *"თითოეული სახელმწიფო ითანამშრომლებს და კოორდინირებულად იმოქმედებს სხვა სახელმწიფოებსა და პროექტის ინვესტორებთან ერთგვაროვანი ტექნიკური, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ფორმულირებასა და ჩამოყალიბებაში... ინფრასტრუქტურის გაფართოების (მათ შორის მილსადენის დამატებითი მონაკვეთების განვითარების) მიზნით... ბუნებრივი აირის მილსადენის ინდუსტრიაში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად (რა სტანდარტები და პრაქტიკაც შერჩეული იქნება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან შესაბამისი ხელშეკრულებით) და იმ დამატებითი მოთხოვნების დაცვით, რომლებიც არსებობს პროექტის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და გამოყენებული იქნება განურჩევლად სხვა სტანდარტებისა და პრაქტიკისა, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა ქვეყნის შიდა კანონმდებლობის მიხედვით."*

აღსანიშნავია, რომ მთავრობათაშორისი ხელშეკრულება პირდაპირ არ აყალიბებს სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის მონაწილე მხარეების ან SCPC უფლებებსა და მოვალეობებს.

6.2.4 ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულება

2001 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების რატიფიცირება და იგი ძალაში შევიდა, როგორც საქართველოში უპირატესი ძალის მქონე იურიდიული რეჟიმი SCPC-თვის (და SCPX პროექტისთვის). ხელშეკრულების დებულებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ეროვნული კანონმდებლობის შეუსაბამო პუნქტების მიმართ, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებით პროექტის მონაწილეებს ეკისრებათ ვალდებულება, გამოიყენონ გარკვეული სტანდარტები მილსადენის დაპროექტებისა და ექსპლუატაციის დროს. ოპერატორს ევალება, იმოქმედოს, როგორც "გონივრული ოპერატორი". გარდა ამისა, ხელშეკრულებით განისაზღვრება გამოსაყენებელი გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები და პრაქტიკები, რომელთა ძირითადი პრინციპები მოიცავს შემდეგს:

- დანართში 4 მოცემული გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სოციალური სტანდარტებისა და პრაქტიკების განხორციელება იმის მიუხედავად, ეწინააღმდეგება თუ არა ისინი ეროვნულ სტანდარტებსა და პრაქტიკას.

- თუ მოხდება ბუნებრივი აირის გაჟონვა, SCPX მილსადენის მონაწილეები გაატარებენ ყველა საჭირო ზომას ზიანის ანაზღაურებისა და მიწისა და სხვა ზიანის აღმოსაფხვრელად ვიდრე არ იქნება მიღწეული გაჟონვამდე არსებული მდგომარეობა განურჩევლად ბრალის ან მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა, დანართის 4 მიხედვით.

გარემოსდაცვითი სტანდარტები

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების დანართი 4 განსაზღვრავს გამოსაყენებელ გარემოსდაცვით სტანდარტებს, რომლებიც ეხება პროექტის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. ამ მოთხოვნების მიხედვით, მილსადენი და ინფრასტრუქტურა უნდა:

- *„შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით სტანდარტებსა და პრაქტიკას (ეს სტანდარტები და პრაქტიკა აღწერილი უნდა იქნას EIA-ში), ასევე იმ სტანდარტებსა და პრაქტიკას, რომელიც მოცემულია დანართში 4.*
- *ასევე, შეესაბამებოდეს საერთაშორისო საზოგადოების პრაქტიკაში არსებულ ბუნებრივი გაზის მილსადენის პროექტის განხორციელების ანალოგიურ პროექტს.*

ნებისმიერ შემთხვევაში ეს სტანდარტები არ უნდა მოიცავდეს ნაკლებ მოთხოვნას, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს მოქმედი სტანდარტები.”

სოციალური სტანდარტები

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებით პროექტი განსაზღვრავს, რომ:

- *მაქსიმალურად ეცადოს, შეამციროს მიმდებარედ მაცხოვრებელთა შეწუხება და მათი ქონებისადმი პოტენციური ზიანის მიყენება.*
- *ასევე, განახორციელოს საკუთარი ქმედებების სოციალური ზემოქმედებების შეფასება, რომელიც ზოგადად უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის სტანდარტებს (გარდა განხილვისა და კონსულტაციის ვადებისა).*

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებით, განსაზღვრავს, რომ პროექტი უნდა:

- *შეესაბამოდეს ბუნებრივი აირის მილსადენის ანალოგიური პროექტების საერთაშორისო საზოგადოების მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებსა და პრაქტიკას.*

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს სტანდარტები არ უნდა მოიცავდეს ნაკლებ მოთხოვნას, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს მოქმედი სტანდარტები.”

გარემოს დაცვის სტრატეგიის პროდუქტი

HGA-ით ასევე განსაზღვრულია შემდეგი მოთხოვნები:

> დაქირავებული იქნას აღიარებული დამოუკიდებელი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია გარემოსდაცვით საკითხებში, რომელიც მოამზადებს გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროდუქტს ზემოთ მოყვანილი გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად და შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- წინასწარი შესწავლა სამუშაოთა მასშტაბების დასადგენად და გარემოსდაცვითი რისკის შეფასება საშუალებების ზოგადი ადგილმდებარეობის შერჩევამდე.
- გარემოს საწყისი მდგომარეობის შესწავლა, რაც მოიცავს შემდეგს:
  - ხელმისაწვდომი ინფორმაციის კამერალური შესწავლა
  - საველე კვლევა, რომელიც გადაამოწმებს არსებულ ქმედებებსა და პრაქტიკას და რომლის შედეგადაც შეგროვდება სათანადო გარემოსდაცვითი მონაცემები საშუალებების ირგვლივ მდებარე ტერიტორიიდან.
- გარემოზე ზემოქმედების შეფასება ევროკავშირის დირექტივის 85/337/EEC პრინციპების შესაბამისად (ცვლილებები შესულია ევროსაბჭოს დირექტივით 97/11/EC).
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა
- საერთაშორისო გარემოსდაცვით საკითხებში კონსულტანტისა (რომელიც ამზადებს გარემოსდაცვითი სტრატეგიის პროდუქტს) და სახელმწიფოს ოფიციალური და ტექნიკური წარმომადგენლების კონსულტაციები სამუშაოთა მასშტაბების დასადგენად წინასწარი შესწავლის, გარემოს საწყისი მდგომარეობის შესწავლის, გარემოზე ზემოქმედებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მომზადების დროს.
- EIA პროექტის საჯარო გამოქვეყნება განხილვისა და შენიშვნების წარსადგენად მაქსიმუმ 60 დღის განმავლობაში.
- საბოლოო EIA წარდგენა ოფიციალური დამტკიცებისათვის.
- შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის პროგრამის გატარება და საჭიროების მიხედვით განახლება.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებას აძლიერებს პრეზიდენტის ბრძანებულება #151 (2001 წ. 24 აპრილი), რომლითაც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია დასახელებულია, როგორც საქართველოს ერთადერთი უფლებამოსილი წარმომადგენელი ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების პროექტებში კასპიის ზღვიდან. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია აღჭურვილია ხელმოწერის უფლებით საქართველოს სახელმწიფოს სახელით ნებისმიერ ხელშეკრულებაზე, შეთანხმებასა და სხვა დოკუმენტზე, რომელიც უკავშირდება ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების პროექტებს. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას შემდეგ შეეცვალა დასახელება და ეწოდა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია.

დამატებითი მოთხოვნები

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებით ასევე დადგენილია ზოგადი ჩარჩო მთავრობისათვის ექსკლუზიური და შეუზღუდავი უფლებების მინიჭების სფეროში მილსადენის მონაწილეებისათვის სახელმწიფო მიწაზე, ასევე, კერძო შეთანხმებებისა და კომპენსაციის ხელშეკრულების დადებაზე არასახელმწიფო მიწის სარგებლობის, საკუთრების, კონტროლისა და მშენებლობისათვის, აგრეთვე განსაზღვრავს პირობებს, რომლის ფარგლებშიც პროექტს შეუძლია არასახელმწიფო მიწის ჩამორთმევა. ხელშეკრულებით ასევე დადგენილია, რომ პროექტმა უნდა შეინარჩუნოს მისასვლელი საშუალებები და უზრუნველყოს დროებითი გადაკვეთების მშენებლობა, რაც გონივრულ ფარგლებში იქნება საჭირო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის მესაკუთრეებისა და მფლობელებისათვის, ასევე კერძო გზებისა და ბილიკების აღდგენა პირვანდელ მდგომარეობამდე მშენებლობის დასრულების შემდეგ.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ პროექტთან დაკავშირებით დაქირავებულ პირებს უნდა გაუფრომდეთ წერილობითი შრომის ხელშეკრულებები, სადაც დადგენილი იქნება სამუშაო საათები და ანაზღაურება, ასევე სხვადასხვა წამახალისებელი ზომა. დაქირავებასთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკა (მაგ. სამუშაო საათები, დასვენების დრო, ანაზღაურება, დამატებითი ბონუსები, სამუშაო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები) საქართველოს მოქალაქეების მიმართ, სულ მცირე, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროექტის მონაწილეები და კონტრაქტორები უპირატესობას მიანიჭებენ მომსახურების, აღჭურვილობის, მასალების, მანქანა-დანადგარებისა და ინსტრუმენტების, სატრანსპორტო საშუალებების, ნაწილების, საქონლისა და მარაგების ქართველ მიმწოდებლებს, როდესაც ისინი შემოთავაზებულია იმავე ფასად, აქვს იგივე ხარისხი და ხელმისაწვდომობა, რაც სხვა მიმწოდებლების მიერ შემოთავაზებულ მოსამხურებასა და/ან საქონელს.

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია პროექტის ტექნიკური სტანდარტები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მილსადენისა და ინფრასტრუქტურის საინჟინრო პროექტები.

6.3 საერთაშორისო სტანდარტები და სახელმძღვანელოები

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებით სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის მონაწილეები ვალდებული არიან:

შექმნან გარემოს დაცვის სტრატეგიის პროდუქტი და განახორციელონ გარემოსდაცვითი სტრატეგია:

- მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და პრაქტიკის მიხედვით.
- ანალოგიური საერთაშორისო პროექტებისათვის ბუნებრივი აირის მილსადენების ინდუსტრიაში დამკვიდრებული სტანდარტებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის კრებსითი არ უნდა იყოს გაერთიანებული სამეფოს შესაბამის სტანდარტებზე და პრაქტიკაზე ნაკლებად მკაცრი.

მსოფლიო ბანკის სტანდარტები

პროექტის ფარგლებში განხილული იქნა ინფორმაციის შემდეგი წყაროები, როგორც მსოფლიო ბანკის სტანდარტების ამსახველი, პროექტის პოტენციური ზემოქმედებებისა და შემარბილებელი ღონისძიებების დასადგენად:

- საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC)[1] სტანდარტები (2012) და გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოები.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შესაბამისი სტანდარტები და ზოგადი გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოები, რომლებიც პროექტის მოსაზრებით შეიძლება გავრცელდეს პროექტზე, მოცემულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში.

[1] IFC წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ჯგუფის კერძო მსესხებელს

საერთაშორისო ინდუსტრიის სტანდარტები და პრაქტიკა

პროექტის ფარგლებში განხორციელდა პოტენციურად სასარგებლო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, რაც ეხება საერთაშორისო გაზის მილსადენის ინდუსტრიის, კერძოდ:

- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელოები
- ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის ასოციაციების მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები
- გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების პრაქტიკები და სტანდარტები
- ზოგადი საწარმოო პრაქტიკა.

გაერთიანებული სამეფოს სტანდარტები და პრაქტიკა

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების თანახმად, პროექტის ფარგლებში განხილული იქნა გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის სტანდარტები და პრაქტიკა (როგორც გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნების ამსახველი), რაც ემსახურებოდა იმის დადგენის, რამდენად მკაცრია შემოთავაზებული სტანდარტები და პრაქტიკა გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნებთან შედარებით.

6.4 საერთაშორისო და რეგიონული კონვენციები

საერთაშორისო კონვენციების დანერგვა ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით და ამიტომ, პირდაპირ არ გამოიყენება პროექტის მიმართ, რომელსაც ეკისრება მხოლოდ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვა.

პროექტის ფარგლებში განხილული იქნა შესაბამისი კონვენციების დებულებები, რომლებიც კონკრეტულად არ არის შემოფარგლული ნავთობისა და გაზის სფეროთი და ეხება მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებს პროექტის განვითარებისა და ESIA-ის მომზადების დროს. გადამწყვეტი იყო, რამდენად შეიცავდა ამგვარი კონვენცია შესაბამის სახელმძღვანელოს, მათ შორის, პოტენციური შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრისა და საერთაშორისო პრაქტიკის დადგენისთვის.

ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი კონვეცია ჰაერის ხარისხისა და კლიმატის შეცვლის, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიისა და ჰაბიტატების დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის, საჯარო კონსულტაციებისა და ნარჩენების მართვის შესახებ მოცემულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში, ასევე, მოცემულია შენიშვნა მხოლოდ ინფორმაციული მიზნით, განახორციელა თუ არა საქართველომ ამ კონვენციის ხელმოწერა, მიერთება თუ რატიფიცირება[2].

6.5 ეროვნული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო

საქართველო იყოფა ცხრა რეგიონად, რომლებიც, თავისი მხრივ, დაყოფილია ადმინისტრაციულ რაიონებად. ასევე გამოყოფილია ორი ავტონომიური რესპუბლიკა (აჭარა და სეპარატისტული აფხაზეთი) და სეპარატისტული ახალგორის ავტონომიური ოლქი, რომლებიც შეიქმნა საბჭოთა პერიოდში. ცენტრალური ხელისუფლების ყველა ორგანო, გარდა კონსტიტუციური სასამართლოსა და ენერგეტიკის მარეგულირებელი

[2] ხელმოწერა მიუთითებს ზოგად განზრახვაზე, რომ სახელმწიფო გახდეს კონვენციის მხარე; რატიფიცირება ან მიერთება იურიდიულად ავალდებულებს სახელმწიფოს განახორციელოს კონვენცია

ეროვნული კომისიისა, მდებარეობს თბილისში, საქართველოს დედაქალაქში. ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები ახორციელებენ ძირითად ადმინისტრაციულ ფუნქციებს თითოეულ რაიონში.

გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე პასუხისმგებლობა განაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. პროექტს განსაკუთრებით ეხება შემდეგი დაწესებულებები:

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია მშენებლობის ნებართვების გაცემაზე.
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემასა და ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე.
- ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარუდგინოს წერილი იმის შესახებ, რომ ის არ არის წინააღმდეგი მიწაზე უფლებების გაცემაზე.
- კულტურის და ძეგლთა დაცვისა სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია არქეოლოგიური გათხრების ნებართვების გაცემასა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე საექსპერტო დასკვნების გაცემაზე.

6.5.1 ეროვნული კანონმდებლობა და სანებართვო მოთხოვნები

ეროვნული კანონმდებლობა პირდაპირ არ ვრცელდება პროექტზე, ვინაიდან პროექტი ხელმძღვანელობს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებით; ამ უკანასკნელს კი უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შედარებით. ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების 12.1 მუხლის მიხედვით, პროექტის ფარგლებში გამოსაყენებელი გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და სოციალური სტანდარტები და პრაქტიკა მოცემულია დანართში 4 და გამოყენებული იქნება განურჩევლად იმისა, ეწინააღმდეგება თუ არა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და პრაქტიკას.

გარემოსდაცვითი სტანდარტები და პრაქტიკა, რაც აღწერილია ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშკერულებასა და დანართში 4, არ მოიცავს ნორმატიულ ადმინისტრაციულ სტრუქტურას ან პროცედურებს (მათ შორის – ლიცენზირების, ნებართვების გაცემისა და დამტკიცების პროცედურებს) და ამ შემთხვევაში პროექტი იხელმძღვანელებს ეროვნული კანონმდებლობით. პროექტის ფარგლებში ასევე გამოყენებული იქნება ეროვნული კანონმდებლობა ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის შესახებ იმ ფარგლებში, რაც არ ეწინააღმდეგება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების მოთხოვნებსა და საპროექტო გარემოსდაცვით სტანდარტებს, რომლებიც განისაზღვრა ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების მიხედვით.

6.5.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პროცედურები მოცემულია საქართველოს კანონში "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" (2007 – შესულია დამატებები) და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" - 2013.

2007 წ. კანონი ადგენს იმ საქმიანობის ჩამონათვალს, რომელიც ექვემდებარება ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას და მოიცავს ნავთობისა და გაზის მილსადენებს

(თავი II, მუხლი 4, პარაგრაფი 1ე). კანონი მოითხოვს, რომ მილსადენის მშენებლებმა შეიმუშავონ და წარადგინონ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი სხვა საბუთებთან ერთად, რაც ექვემდებარება სახელწიფო "ეკოლოგიური ექსპერტიზის" ჩატარებას. სახელმწიფო ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, გარემოს დაცვის სამინისტრო გასცემს ნებართვას. ეს წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის აუცილებელ წინაპირობას (იხილეთ ქვემოთ).

6.5.3 სანებართვო მოთხოვნები

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი ასევე ვალდებულია, უზრუნველყოს გარკვეული ნებართვებისა და თანხმობების მიღება. ძირითადი ნებართვები და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა აღწერილია ქვემოთ (იხ. ცხრილი 6-1). კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" არეგულირებს ყველა საჭირო ნებართვისა და თანხმობის გაცემის საკითხებს. განაცხადისადმი არსებული მოთხვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნებისმიერი ნებართვა გაიცემა განცხადების წარდგენიდან 30 დღეში.

მშენებლობის ნებართვა

კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" ადგენს ნებართვების გაცემის, ცვლილებისა და გაუქმების წესებს. სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი განხორციელებისთვის საჭიროა მშენებლობის ნებართვის მიღება. პასუხისმგებელი ორგანო (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) ვალდებულია, მიიღოს შემდეგი თანხმობები მშენებლობის ნებართვის გაცემამდე:

- გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული გეოლოგიური დასკვნა
- კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული კულტურული მემკვიდრეობისგან გაწმენდის ცნობა
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამტკიცება (ეკოლოგიური ექსპერტიზა) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ
- საინჟინრო პროექტის დამტკიცება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ
- პროექტის მიერ მიწაზე უფლების რეგისტრაცია.

ეკოლოგიური შეფასების დასკვნა (ე.ი. EIA საექსპერტო შემოწმება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ) წარმოადგენს სამშნებელო ნებართვის ნაწილს და მისი რეკომენდაციები შესასრულებლად სავალდებულოა მშენებლობის განმახორციელებლისათვის.

ცხრილი 6-1: ნებართვების რეესტრი

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა	გამოსაყენებელი კანონი
სამშენებლო საქმიანობა	მშენებლობის ნებართვა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	გეოლოგიური დასკვნა; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისგან გაწმენდა; ადგილობრივი დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა საბოლოო პროექტის თაობაზე; ESIA დამტკიცება; საბოლოო პროექტი; მიწაზე უფლება	წინასამ-შენებლო	კანონი #1775 "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"; მთავრობის დადგენილება #57 "სამშენებლო ნებართვის გაცემის ვადებისა და პირობების შესახებ"
სამშენებლო საქმიანობა	ESIA დამტკიცება	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ფონური შესწავლის დამტკიცება; საჯარო გავრცელება; ESIA საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება საზოგადოების შენიშნვნების გათვალისწინებით	წინასამ-შენებლო	კანონი #519 "გარემოს დაცვის შესახებ"; კანონი #5603 "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ"; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება #528 "ეკოლოგიური ექსპერტიზის წარმოების წესების შესახებ"
სამშენებლო საქმიანობა	კულტურული მემკვიდრეო-ბისგან გაწმენდა	კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო	კამერალური კვლევა; არქეოლოგიური კვლევა; ძეგლთა კვლევა; საჭიროების შემთხვევაში არქეოლოგიური გათხრები; კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების ანგარიში	წინასამ-შენებლო	კანონი #4708 "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ"

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა	გამოსაყენებელი კანონი
სამშენებლო საქმიანობა	ვიზუალური გეოლოგიურ-საინჟინრო დასკვნა	გარემოს ეროვნული სააგენტო	მშენებლობის ადგილების რუკები	წინასამ-შენებლო	მთავრობის დადგენილება #57 "სამშენებლო ნებართვის გაცემის ვადებისა და პირობების შესახებ"; გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება #7
სამშენებლო საქმიანობა	წიაღისეულის შესახებ დასკვნა	გარემოს ეროვნული სააგენტო	სამშენებლო უბნების რუკები	წინასამ-შენებლო	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება #7
სამშენებლო საქმიანობა	ადგილობრივი დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა საბოლოო პროექტის თაობაზე	უნდა შეირჩეს	საბოლოო პროექტი და საექსპერტო მომსახურების ანაზღაურება	წინასამ-შენებლო	მთავრობის დადგენილება #57 "სამშენებლო ნებართვის გაცემის ვადებისა და პირობების შესახებ"
სახელმწიფო სატყეო ფონდში ხეების ჭრა სამშენებლო დერეფნისა და მუდმივი ინფრას-ტრუქტურისათვის	ტყით სარგებლობის ხელშეკრულება	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	განმცხადებლისა და ადგილობრივი სატყეო მეურნეობის კვლევა ტერიტორიაზე შესვლამდე, განმცხადებლის მიერ ტყის დეტალური ინვენტარიზაციის ანგარიში	სამშენებლო	კანონი #2124 "საქართველოს სატყეო კოდექსის შესახებ"; საქართველოს მთავრობის დადგენილება #242 "ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ"; საქართველოს მთავრობის დადგენილება # 132 "ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის პირობებისა და წესების მოწესრიგების დამტკიცების შესახებ"
სახელმწიფო სატყეო ფონდში ხეების ჭრა დროებითი ინფრას-ტრუქტურისათვის	ტყით სარგებლობის ხელშეკრულება	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	განმცხადებლისა და ადგილობრივი სატყეო მეურნეობი კვლევა ტერიტორიაზე შესვლამდე, განმცხადებლის მიერ ტყის დეტალური ინვენტარიზაციის ანგარიში	სამშენებლო	მთავრობის დადგენილება #242 "ტყით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ"; სატყეო დეპარტამენტის უფროსის ბრძანება #10/61

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა	გამოსაყენებელი კანონი
კარიერებიდან სამშენებლო მასალების მოპოვება	წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	მოპოვების პროექტი და წიაღისეულის ანაზღაურება აუქციონის გარეშე სამართლიანი საბაზრო განაკვეთით	სამშენებლო	საქართველოს მთავრობის დადგენილება #136 – 2005 წ. 11 აგვისტო; კანონი #946 "ეროვნული რესურსების გამოყენების ტარიფის შესახებ"
მიწისქვეშა წყალაღება	წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	მოპოვების პროექტი და წიაღისეულის შესყიდვა აუქციონის გარეშე რეალური საბაზრო ფასით	სამშენებლო	საქართველოს მთავრობის დადგენილება #136 – 2005 წ. 11 აგვისტო; კანონი #946 "ეროვნული რესურსების გამოყენების ტარიფის შესახებ"
წყალაღება მდინარიდან, ტბიდან	ზედაპირული წყალაღების დამტკიცება	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ზედაპირული წყალაღების პროექტი	სამშენებლო	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება #745; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება #16
მდინარეში, ტბაში დამუშავებული საკანალიზაციო, ჰიდრო-ტესტირების წყლისა და სხვ. ჩაშვება მდინარეში, ტბაში	თხევადი მასალის ჩაშვების ნებართვა ზედაპირული წყლის ობიექტში	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ტექნიკური ინვენტარიზაციის ანგარიში და ჩაღვრის ლიმიტების პროექტი	სამშენებლო	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება #745; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება #16
გამონაბოლქვი სტაციონარული წყაროებიდან	ჰაერში ემისიის ლიმიტის დამტკიცება	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ტექნიკური ინვენტარიზაციის ანგარიში და ემისიის ლიმიტების პროექტი	სამშენებლო	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება #745; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება #667; კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ"

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა	გამოსაყენებელი კანონი
აირის გაჟონვის ან ემისიის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ზომები	საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცება	საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა	ექსპლუატაცია	კანონი #4922 "მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ"; საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება #415
ორმხრივი რადიოს, რადიო სადგურების გამოყენება და სხვ.	რადიო სიხშირეების გამოყოფა	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	აღჭურვილობის აღწერა და დაფარვის ზონა	წინასამ-შენებლო/ სამშენებლო	კანონი #1514 "ელექტროკომუნიკაციების შესახებ"; კანონი #1775 "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"; ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის წესები, თავი 5; ზოგადი ადმინისტრაციური კოდექსი
მისასვლელი გზების მშენებლობა ან გაუმჯობესება	მშენებლობის ან გაუმჯობესების საქმიანობის დამტკიცება	ინფრასტრუქ-ტურის სამინისტრო და ადგილობრივი მუნიციპალი-ტეტი	მშენებლობის ან გაუმჯობესების პროექტი	წინასამ-შენებლო / სამშენებლო	მთავრობის დადგენილება #57 "სამშენებლო ნებართვების გაცემის ვადებისა და პირობების შესახებ"
დიდი ზომის და მძიმე წონის ტვირთის ტრანსპორ-ტირება	ტრანსპორტირების ნებართვა	შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს)	დაცვის პოლიციასთან ხელშეკრულება საესკორტო მომსახურების შესახებ, შპს "საქართველოს რკინიგზის" ნებართვა რკინიგზის გადაკვეთებთან დაკავშირებით, პოტენციური მარშრუტები და სატრანსპორტო საშუალებებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალი	წინასამ-შენებლო / სამშენებლო	შინაგან საქმეთა მინისტრისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანება #956/1-1/746; კანონი #700 "საგზაო ტრანსპორტის შესახებ"; კანონი "საგზაო მოძრაობის შესახებ"
ნაყარი გრუნტის განთავსება	ნაყარი გრუნტის განთავსების ნებართვა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	უბნის და ნაყარი გრუნტის აღწერები	სამშენებლო	კანონი "ნიადაგის ქვედა ფენის შესახებ", 6 სექტემბერი 2013წ.

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა	გამოსაყენებელი კანონი
საქონლის იმპორტი	განბაჟება	ფინანსთა სამინისტრო	წარმოშობის სერთიფიკატი და აღწერა	ყველა	საქართველოს საბაჟო კოდექსი; საქართველოს მთავრობის დადგენილება #420
ასაფეთქებელი ნივთიერების იმპორტი	ასაფეთქებელი ნივთიერების იმპორტის ნებართვა	შსს	წარმოშობის სერთიფიკატი და აღწერა, მიზნები, ხანგრძლივობა	სამშენებლო	საქართველოს საბაჟო კოდექსი; საქართველოს მთავრობის დადგენილება #420; კანონი #6157 „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ”; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/250
ასეფეთქებელი ნივთიერების გამოყენება	ასეფეთქებელი ნივთიერების გამოყენების ნებართვა	გარემოს დაცვის სამინისტრო	აღწერა, შენახვისა და ტრანსპორტირების დეტალები, სამუშაოების მოცულობა	სამშენებლო	საქართველოს საბაჟო კოდექსი; საქართველოს მთავრობის დადგენილება #420; კანონი #6157 „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ”; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/250

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა	გამოსაყენებელი კანონი
რადიოაქტიური მასალების იმპორტი	რადიოაქტიური მასალების იმპორტის ნებართვა	საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი (შსს/გარემოს დაცვის სამინისტრო)	წარმოშობის სერთიფიკატი და აღწერა, მიზნები, ხანგრძლივობა	სამშენებლო	კანონი #5912 "ბირთვული და რადიოაქტიური უსაფრთხოების შესახებ"; დადგენილება #135 "ბირთვული და რადიოაქტიური საქმიანობის ნებართვის გაცემის პირობებისა და წესების დამტკიცების შესახებ"; კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"
რადიოაქტიური მასალების გამოყენება	რადიოაქტიური მასალების გამოყენების ნებართვა	გარემოს დაცვის სამინისტრო	აღწერა, შენახვისა და ტრანსპორტირების დეტალები, სამუშაოების მოცულობა	სამშენებლო	კანონი #5912 "ბირთვული და რადიოაქტიური უსაფრთხოების შესახებ"; შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მინისტრის ბრძანება #42/ნ "რადიოაქტიური მასალებისა და იონიზირებული რადიაციის სხვა წყაროებთან მოპყრობის საბაზისო წესების დამტკიცების შესახებ"

6.6 პროექტის გარემოს დაცვის სტანდარტები

SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის თავში 6.6 აღწერილი პროექტის გარემოსდაცვითი სტანდარტები გამოყენებული იქნება ESIA-ს დამატების სამუშაოს მოცულობით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის.

6.7 BP კორპორატიული პოლიტიკა

BP არის სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის კომპანიის პარტნიორი კომპანია (მოიცავს რამდენიმე პარტნიორ ორგანიზაციას) და ასევე წარმოადგენს ამ მილსადენის ტექნიკურ ოპერატორს ("სტატოილი" არის კომერციული ოპერატორი). სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი განხორციელდება BP კორპორატიული პოლიტიკის შესაბამისად ჯანდაცვის, უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების სფეროში.

BP-ს ხუთი ღირებულება[3], გამოხატავს კომპანიის „ერთიან პოზიციას იმაზე, თუ რისი გვჯერა, როგორია ჩვენი სამიზნე ქცევა და რას ვესწრაფით, როგორც ორგანიზაცია“. ეს ღირებულებებია:

- უსაფრთხოება
- პატივისცემა
- მაღალი ხარისხი
- გამბედაობა
- ერთი გუნდი.

ეს ღირებულებები სრულდება კომპანიის საქმიანობაში სხვადასხვა პოლიტიკისა და მოთხოვნის გატარებით, რომელთა კომპონენტებიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავებში 6.7.1 – 6.7.3.

[3] BP ღირებულებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.bp.com/en/global/corporate/sustainability/our--people-and-values.html